პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის ---- მარტი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს“ მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“

წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25

18-21-2-202403111717

N 18/21

11/03/2024

წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმუირაზ,

გიგზავნით ინფორმაციას ა (ა) იპ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ,,კულტურის ცენტრის " მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი 3 ფურცელი.

პატივისცემით ,

რევაზ მესხი

რევაზ მესხი

მმართველი

ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი"-ს 2023 წლის ანგარიში.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" 2023 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულებაში აქტიურად იყვნენ ჩარტული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მათ შორის: 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 3 მუზეუმი, ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური", ქორეოგრაფიული ანსამბლი, სახალხო დრამატული და თოჯინების თეატრი.

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანებამ გააგრძელა დაწყებული ფონდების გაწმენდა, წიგნების მოდერნიზაცია- აღდგენა, ფიზიკურად დაზიანებული და შინაარსობრივად მოძველებული ლიტერატურის გამოყოფა და სიების შედგენა. ამ მხრივ მთავარმა ბიბლიოთეკამ შრომატევადი სამუშაო გასწია პირველი წყალტუბოს, გუბისწყლის ტყაჩირის, ოფშკვითის, გვიშტიბის და პატრიკეთის სასოფლო ბიბლიოთეკებში. ტყაჩირსა და პატრიკეთში დასრულდა საბიბლიოთეკო ფონდების ანბანური კატალოგის შედგენა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას. მარტის თვეში თითქმის ყველა ბიბლიოთეკამ აღნიშნა დედის დღესასწაული. იმავე თვეში მოეწყო გასვლითი ღონისძიება გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით დაიტვირთა აპრილ-მაისის თვე. ტრადიციული საბიბლიოთეკო კვირეულის აღსანიშნავად ამოქმედდა წლის მნიშვნელოვანი პროექტი ,,მწერალი სოფელში". ამ პროექტის ფარგლებში სოფლებს ეწვივნენ თანამედროვე მწერლები და გაიმართა ცოცხალი ლიტერატურული ურთიერთობა მკითხველებთან.

გვიშტიბისა და გუბისწყლის ბიბლიოთეკებმა უმასპინძლეს მწერალ ცირა შალაშვილს. მაღლაკის ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტისა და ჟურნალისტის მაია კახიძის ლიტერატურული სპექტაკლი ,, ჩემის სიყვარული ძალზე ლამაზია". ფარცხანაყანევში შედგა შეხვედრა-დიალოგი მწერალსა და პროფესორ გია ხოფერიასთან. გეგუთისა და პატრიკეთის სტუმარი იყო პოეტი ნუნუ ჯანელიძე და ჟურნალ ,,იალქანის" ჟურნალისტები. ოფშკვითის ბიბლიოთეკაში გაიმართა პოეტ ნინო ფრუიძესთან შეხვედრა. საყულიამ მიიღო პოეტი ნინო უძილაური, ოფურჩხეთის ბიბლიოთეკაში (რიონისა და ჟონეთის მკითხველების მონაწილეობით) გაიმართა შეხვედრა პოეტ ენდი ნემსიწვერიძესთან. გარდა ამისა, ნოდარ დუმბაძის საიუბილეო ლიტერატურული საღამო ჩატარდა სოფელ წყალტუბოს ბიბლიოთეკაში. ციალა ღვინიანიძის წიგნის ,, ხომული" პრეზენტაცია გაიმართა ხომულის ბიბილოთეკაში, ხოლო ლიტერატურული დიალოგი ,, წიგნი- ჩემი მეგობარი" - ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკაში. ნოემბრის თვეშიამავე ბიბლიოთეკაში ჩატარდა ი.ჭავჭავაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ნოემბრშივე გეგუთის, სოფ. წყალტუბოს, მეორე უბნის, გვიშტიბის, გუბისწყლის, პირველი წყალტუბოს, მაღლაკის, მუხიანის, ქვიტირის, რიონის, დერჩის სასოფლო ბიბლიოთეკებში გაიმართა შემოდგომის ზეიმი.

საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო გაერთიანება მოემსახურა 3700-ზე მეტ მკითხველს. გაცემული ლიტერატურა და სხვა მასალა (მასში შედის ინტენეტით გაწეული მომსახურება.) შეადგენს 34000 ეგზემპლარს, ინტერნეტ მომსახურება ხორციელდება 10 ბიბლიოთეკაში.

მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების აღწერა - გადაბარება. წლის ბოლოსთვის აღწერილია

დოკუმენტების ფონდი. აღრიცხული და დაკომპლექტებულია მუზეუმის არქივი. მუზეუმში დაცული სხვადასხვა მასალებით ისარგებლა 43 პიროვნებამ. მუზეუმის ფონდები გაიზარდა 50 ექსპონატით, ახალ ექსპონატებს , დამუშავების შემდეგ გაუკეთდა პასპორტები.

ივლისსა და აგვისტოში მოეწყო საველე გასვლები ქვილიშორისა და ყუმისთავის სოფლების ტერიტორიაზე. მუზეუმის თანამშრომლების მიერ აღწერილი იქნა ყუმისთავისა და ქვილიშორის ეკლესიები.

აღნიშნულ პერიოდში მუზეუმის თანამშრომლებმა დაამუშავეს თემები, რომლებიც დაიბეჭდება მუზეუმის მე-12 კრებულში, ჩატარდა ორი კონფერენცია, რომლებიც მიეძღვნა მელიტონ ბალანჩივაძისა და შალვა ნუცუბიძის საიუბილეო თარიღებს, მოეწყო რვა დროებითი გამოფენა სხვადასვა თემაზე. ღირსეულად აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე. დღის თემა გახლდათ ,, მუზეუმები - მდგრადი განვითარება და კეთილდღეობა". ამასთან დაკავშირებით მოეწყო ღია კარის დღე; წყალტუბოელი ხელოვანის მერაბ ლომინაძის გამოფენა; გამოიცა მუზეუმის მე-11 შრომათა კრებული და ჩატარდა წყალტუბოს წარსულსა და თანამედროვეობაზე შექმნილი ფოტო- ალბომის პრეზენტაცია.

მუზეუმში ჩატარდა 3 ღია გაკვეთილი. 9 ივნისს ,,ცნობილი ადამიანების ისტორიის შესწავლა" პროექტის ფარგლებში, მუზეუმს ეწვივნენ ქ. ქუთაისის ოცხელის სახელობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, რომლებმაც წარმოადგინეს ვიდეორგოლი ,,გიორგი ახვლედიანი - დიდი ენათმეცნიერი".

30 სექტემბერს მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო სახალხო დღესასწაულში ,,შემოდგომის წყალტუბო" და ქალაქის ცენტრში გამოფინა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მოიცავდა წლების განმავლობაში მუზეუმში დაცულ ექსპონატებს: სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხის გობებს, სანაყებს, სასმისებს, აკვანს, თუნგებს, ძველ ეროვნულ სამოსს და სხვა.

4 ნოემბერს მუზეუმს ეწვია ტ/კ. ,,იმედის" ჟურნალისტი გოდერძი შარაშია, რომელმაც გადაიღო და ჩაიწერა მასალები (ერთი ნივთის ისტორიის ფარგლებში), აკადემიკოს გიორგი ახვლედიანზე სიუჟეტის მოსამზადებლად.

საანგარიშო პერიოდში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დაათვალიერა 2300-მა ვიზიტორმა. ჩატარდა 188 ექსკურია- საუბარი, მათ შორის ფასიანი - 602 , შემოსული თანხა - 2117ლ. გასულ წელს აქტიურად იყო დატვირტული ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი, რომელმაც მიიღო 1500 ფასიანი და 700 უფასო დამთვალიერებელი. შემოსული თანხა შეადგენს 5606 ლ.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა" საანგარიშო პერიოდში ასევე ორგანიზება გაუკეთა სხვა ღონისძიებებს, როგორიცაა: 9 აპრილისა და 9 მაისის აღნიშვნა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ფაშიზმთან ბრძოლის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგება. ინტელექტუალური თამაში ,,რა სად როდის"; სახალხო დღესასწაულების ,,თამარობა" (გეგუთი), ელიაობა (მაღლაკი) აღნიშვნა; საახალწლო ღონისძიებები და სხვა.

წარმატებული გახლდათ სახალხო თეატრისა და მის ბაზაზე არსებული თოჯინების თეატრის მოღვაწეობა, ამ უკანასკნელმა განაახლა გასვლითი სპექტაკლების ტრადიცია და ახალი სპექტაკლით მოიარა ოფშკვითის, მეორე უბნის, გვიშტიბის , ქვიტირის, მაღლაკისა და გეგუთის სოფლები, ასევე სპექტაკლები ტარდებოდა ადგილზე ყოველკვირეულად.

აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს სახალხო თეატრის დრამატული და თოჯინური დასი წარმატებით მონაწილეობდა თეატრალურ ფესტივალებში. იმერეთის თეატრალურ ფესტივალს სახალხო თეატრმა წარუდგინა ახალი სპექტაკლი ,,სამანიშვილის დედინაცვალი",რომლითაც რამდენიმე ნომინაციაში მოიპოვა გამარჯვება. ასევე რამდენიმე ნომინაციაში დაჯილდოვდა თეატრის თოჯინური დასი ქალაქ ბათუმსა და ბაკურიანში გამართულ თოჯინურ ფესტივალებში.

ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური" და ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომლის შექმნა ამ წლის ყველაზე მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენად მიგვაჩნია, ინტენსიურად მუშაობენ რეპერტუარის დახვეწასა და ახალი საკონცერტო პროგრამის შესადგენად, ორივე ანსამბლი წარმატებით მონაწილეობდა სახალხო დღესასწაულში ,, შემოდგომის წყალტუბო''.

კულტურის ცენტრის დაფინანსების ძირითად წყაროს ადგილობრივი ბიუჯეტი წარმოადგენს. დამატებით ვიყენებთ საკონცერტო დარბაზის გაქირავებით, მუზეუმში რეალიზებული ბილეთების ამონაგებითა და ფასიანი წრეებით მიღებულ შემოსავლებს.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენრტი"-ს ბიუჯეტის ხარჯები 2023 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1213 241,0 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1187693,49 ლარი, მათ შორის სუბსიდია გეგმა - 1183320,0 ლარი, ხარჯი -1174842,49 ლარი, საკუთარი სახსრების გეგმა არის 29921,0 ლარი, ხოლო ხარჯი - 12851,0 ლარი.

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი" მომავლაშიც გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას და წინასწარ შედგენილი გეგმის სრულფასოვნად შესრულებას.

ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
კულტურის ცენტრის" მმართველი **რევაზ** მესხი